დამტკიცებულია საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის გამგეობის 2025 წლის 27 ივნისის სხდომაზე

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია

მაგისტრი მასწავლებლის წოდების მინიჭების პოლიტიკა და პროცედურები

1. მიზანი

დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს მაგისტრი მასწავლებლის წოდების მინიჭების მიზნები, კრიტერიუმები და პროცედურები, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის ამაღლებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების წახალისებას და კერძო კოლეჯების გაძლიერებას, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული პროფესული განათლების მასწავლებლის რანგებისა და წოდებების შემოღებას ასოციაციის წევრი კერძო კოლეჯების ფარგლებში.

2. ტერმინთა განმარტებები

- მაგისტრი მასწავლებელი – მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ავლენს პროფესიულ ლიდერობას, ხელს უწყობს საგანმანათლებლო ინოვაციებს, არის მენტორი და ავითარებს კოლეგიალურ პროფესიულ სივრცეს.
- კოლეჯი – კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი პროფესიული განათლების მიმწოდებელი ავტორიზებული დაწესებულება.
- ასოციაცია – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს წევრი კოლეჯების ინტერესებს და ასრულებს მაგისტრი მასწავლებლის წოდების მინიჭების ფუნქციას.

3. წოდების მინიჭების ძირითადი კრიტერიუმები

3.1. განათლება და კვალიფიკაცია

- უმაღლესი ან პროფესიული განათლება შესაბამის დარგში სწავლების სფეროში;
- პედაგოგიური კვალიფიკაცია ან შესაბამისი ტრენინგის გავლა სწავლებასა და შეფასებაში.

3.2. სამუშაო გამოცდილება

- მინიმუმ 5 წლიანი სწავლების გამოცდილება პროფესიულ განათლებაში;
- აქტიური საქმიანობა კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში.

3.3. პროფესიული განვითარება

- მონაწილეობა უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- პრაქტიკული წვლილი სასწავლო რესურსის, შეფასების ინსტრუმენტების, მომზადება-გადამზადების პროგრამის, მოდულის ან მეთოდიკის შექმნაში.

3.4. ლიდერობა და მენტორობა

- მენტორის როლის შესრულება ახალბედა მასწავლებლებისთვის;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერა;
- პროგრამის ან კოლეჯის განვითარების პროცესებში ჩართულობა.

3.5. შეფასება

- ბოლო 2 წლის განმავლობაში დადებითი შეფასება კოლეჯის ადმინისტრაციისა და ხარისხის სამსახურის მხრიდან;
- სტუდენტების და კოლეგების უკუკავშირი;
- რეკომენდაცია კოლეჯის მხრიდან.

4. წოდების მინიჭების პროცედურა და დადასტურება

4.1. წარდგენა

- კანდიდატურა შეიძლება წარადგინოს:
  - კოლეჯის ადმინისტრაციამ;
  - თავად მასწავლებელმა;

4.2. დოკუმენტაციის წარდგენა

- პორტფოლიო, რომელშიც აისახება კანდიდატის განათლება, გამოცდილება, პროფესიული მიღწევები და შეფასებები;
- კანდიდატის სამოტივაციო წერილი (თუ კანდიდატი თვითონ წარადგენს თავს) ან კოლეჯის წერილობითი რეკომენდაცია (თუ წარდგინებას აკეთებს კოლეჯის ადმინისტრაცია).

- განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დოკუმენტი.

4.3. განხილვა და შეფასება

- კანდიდატურებს განიხილავს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია;
- კომისია შეიძლება შედგებოდეს ასოციაციის გამგეობის წევრებისა და მოწვეული ექსპერტებისგან;
- გადაწყვეტილება მიიღება კომისიის ხმათა უმრავლესობით გამგეობის სხდომის ოქმის სახით.

4.4. წოდების დადასტურება

- მაგისტრ მასწავლებელს გადაეცემა ასოციაციის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნიმუშის დიპლომი და სამკერდე ნიშანი;

- ასოციაციის სამდივნო აწარმოებს მინიჭებული წოდებებს რეესტრს.

5. წოდების მოქმედება და შემდგომი შეფასება

- მაგისტრი მასწავლებლის წოდება პირს ენიჭება განუსაზღვრელი ვადით;
- ასოციაცია იტოვებს უფლებას, განახორციელოს სტატუსის პერიოდული გადახედვა პროფესიული აქტიურობისა და განვითარების შესაბამისად.

6. წოდების ჩამორთმევა

- წოდება შეიძლება პირს ჩამოერთვას შემდეგ შემთხვევაში:
  - ეთიკური ნორმების ან პროფესიული სტანდარტების დარღვევა;
  - კომპეტენციის დონის მკვეთრი გაუარესება;
- ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა.

6. განაცხადის განხილვის საფასური და ვადები

- განაცხადის განხილვის საფასური ყოველ კანდიდატზე შეადგენს 300 ლარს, რომელიც გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ასოციაციის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

- განაცხადის გაკეთება შესაძლებელია ნებისმიერ დროს;

- განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება წელიწადში ერთხელ, ყოველი კალენდარული წლის ნოემბერში.

მაგისტრი მასწავლებლის წოდების მინიჭების კრიტერიუმები და ქულათა განაწილება

№	კრიტერიუმი	მაქს. ქულა	განმარტება
1	განათლება და კვალიფიკაცია	15 ქულა	განათლება – 10 ქულა; პედაგოგიური კვალიფიკაცია – 5 ქულა
2	სამუშაო გამოცდილება პროფესიულ განათლებაში	20 ქულა	5 წელი – 10 ქულა, ყოველ დამატებით წელს – 2 ქულა (მაქს. 20)
3	პროფესიული განვითარება	20 ქულა	გადამზადების/ტრენინგების რაოდენობა და მონაწილეობა სემინარებში, კონფერენციებში (დოკუმენტურად დადასტურებული)
4	ლიდერობა და მენტორობა	15 ქულა	მენტორის როლი, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა პროგრამის ან მოდულის განვითარებაში
5	სასწავლო მასალის/ინოვაციის შემუშავება	10 ქულა	ავტორობა ან თანაავტორობა სასწავლო მასალის, შეფასების ინსტრუმენტების ან ახალი მიდგომების დანერგვაში
6	შეფასება კოლეგების და სტუდენტების მხრიდან	10 ქულა	დოკუმენტურად წარმოდგენილი უკუკავშირი და შეფასებები (საშუალოზე მაღალი ან მაღალი შეფასება)
7	კოლეჯის რეკომენდაცია	5 ქულა	ადმინისტრაციის წერილობითი დადებითი რეკომენდაცია
8	მოტივაციის წერილი და პროფესიული პორტფოლიო	5 ქულა	ნათლად აღწერს პროფესიულ მიღწევებს, ხედვას და მოტივაციას

წოდების მინიჭების ზღვარი:

მაგისტრი მასწავლებლის წოდება ენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც დააგროვებს მინიმუმ 75 ქულას 100-დან.